ხელშეკრულება №104

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. მცხეთა 29 დკემბერი 2015 წ.

ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის და ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაცია, წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის მოადგილის გელა წიკლაურის სახით, (შემდგომში წოდებული „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "იბერია ტექ ავტომოტივი", მისი დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებისთვის (shkoda AO995AA; HYUNDAI SS327GG) 34300000 CPV-კოდით განსაზღვრული საქონლის (საბურავების) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1. R16 205/55-4 ცალი; ერთეულის ფასი 160.00(ასსამოცი) ლარი;
R17 225/60-4 ცალი; ერთეულის ფასი 285.00(ორასოთხმოცდახუთი)ლარი;

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1780.00(ათასშვიდასოთხმოცი)ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდებ მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სხელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის აპარატის უფ.ცპეციალისტი ელდარ გულბათაშვილი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საქონლის მიწოდება, კეთილსინდიერად და სრული მოცულობით.

7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუზველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ,მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია„თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის პირობებში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გაგაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„მიმწოდებელი“
შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“
ს/კოდი 236093473

მის. ქ.თბილისი
ს/ს „საქართველოს ბანკი“BAGAGE22
ანგ. №GE29BG0000000153512100

დირექტორი –ლაშა მიგინეიშვილი

„შემსყიდველი”
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის , ყაზბეგის და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტებში
იურიდიული მისამართი: ქ.მცხეთა აღნაშენებლის #73
საიდენტიფიკაციო კოდი: 236032994
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
საანგარიშსწორებო ანგარიშის N: 200122900
საკონტაქტო:599857474
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის
მოადგილე
გელა წიკლაური

მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი ---------- 2015 წელი

შ.პ.ს. „იბერია ტექ ავტომოტივი“-ს ადმინისტრაციამ ჩააბარა, ხოლო სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციამ ჩაიბარა, 2015 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულება №37-ით აღნიშნული საქონელი, რომლის საერთო ღირებულებაა 1780.00 (ათასშვიდასოთხმოცი) ლარი, რასაც ხელმოწერით ვადასტურებთ მხარეები.

შპს.„იბერია ტექ ავტომოტივი“
დირექტორი ლაშა მიგინეიშვილი

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის
ადმინისტრაციის აპარატის უფ.ცპეციალისტი ელდარ გულბათაშვილი

ყურადღება! მოცემული ანგარიშის გადახდა გულისხმობს საქონლის მიწოდების პირობებზე თანხმობას. შეტყობინება გადახდის შესახებ აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის არსებობა საწყობზე არაა გარანტირებული. საქონელი გადაიტვირთება მომწოდებლის ს/ა-ზე თანხის მოსვლის დაფიქსირებისას, ნდობის და პასპორტის არსებობის შემთხვევაში.

შ.პ.ს ,,იბერია ტექ ავტომოტივი 1"ს/ა GE29BG0000000153512100 ს/ს ,,საქართველოს ბანკი" თბილისი მიმღები		ანგ. №	GE29BG0000000153512100
გსნ 236093473	აამკ		
ს/ს ,,საქართველოს ბანკი" მიმღების ბანკი		ბსკ ანგ. №	BAGAGE22

ანგარიში გადახდაზე № 65 29 დეკემბერი 2015

მომწოდებელი 236093473, შ.პ.ს ,,იბერია ტექ ავტომოტივი ", დ.აღმაშენებლის ქუჩა

მყიდველი: 236032994, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტებში, მცხეთის რაიონი / აღმაშენებლის ქ. 73

#	არტიკული	საქონელი	რაოდ.	ერთ.	ფასი	თანხა:
1	15405260000	205/55R16 91V TL Barum Bravuris 3HM	4	ცალი	160,00	640,00
2	04502380000	225/60R17 99V TL FR General Grabber GT	4	ცალი	285,00	1 140,00

სულ: 1 780,00

მათ შორის დღგ: 271,53

დასახელებები სულ 2, თანხაზე 1 780,00 GEL

ერთი ათას შვიდას ოთხმოცი ქართული ლარი და 00 თეთრი

მენეჯერი _____ /ნათია მეზვრიშვილი/

IBERIA TECH AUTOMOTIVE LTD 236093473

№ 109 - 17.